GCA

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

წლიური ანგარიში 2014

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა	2
ინფორმაციის სისტემატიზაცია	3
ლიცენზირება	5
ჰონორარების შეგროვება-განაწილება	8
საჯაროობა-გამჭვირვალობა	16
საზოგადოებრივი ცნობიერება	17
დარღვევათა პროფილაქტიკა	18
საერთაშორისო თანამშრომლობა	20
შეჯამება	22

ზოგადი მიმოხილვა

2014 წელი საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისათვის მნიშვნელოვანი იყო საქმიანობის გაფართოებისა და ახალი სფეროების ლიცენზირებისთვის ნიადაგის შემზადების მხრივ. ასოციაციამ აქტიური მუშაობა გასწია საქმიანობის ყველა მიმართულებით, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ასოციაციაში ახალი წევრების მიღების, ასევე ლიცენზირებისა და საავტორო ჰონორარის შეგროვება-განაწილების კუთხით.

2014 წელს განხორციელებულმა საქმიანობამ დაამტკიცა, რომ ასოციაცია კვლავინდებურად ორიენტირებულია დასახული მიზნების მიღწევასა და შედეგების გაუმჯობესებაზე. კოლექტიურ საფუძველზე ჰონორარის შეგროვება-განაწილების პარალელურად, ასოციაცია კვლავაც აქტიურ როლს თამაშობს საავტორო უფლებათა დაცვის საქმეში. ავტორთა განცხადებები შესაბამის რეაგირება-გადაწყვეტას ჰპოვებს ასოციაციის სტრუქტურის შიგნით შექმნილი კომისიებისა თუ სასამართლო წარმოების მეშვეობით, რაც კიდევ უფრო ზრდის ასოციაციის მიმართ ნდობას.

2014 წელი საავტორო უფლებების სფეროში სამართლებრივი რეგულირების ინიციატივებით აღინიშნა, რომელიც ასახვას მომდევნო წლებში ჰპოვებს და რაც მათ შორის განპირობებული იყო საქართველოს მიერ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერით. ხსენებული შეთანხმება ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ ინტელექტუალური საკუთრების და მათ შორის საავტორო უფლებების დაცვას და სამართლებრივი გარანტიების შექმნას ითვალისწინებს. ასოციაციამ დაიწყო ამ მიმართულებით ქმედითი ინიციატივების შემუშავება, რომელზე მუშაობის გაგრძელება და შესაბამისი ინიცირება 2015 წელს იგეგმება.

ინფორმაციის სისტემატიზაცია

2014 წელი ასოციაციისთვის მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის აკუმულირების კუთხით. განხორციელდა წევრებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ მონაცემთა ბაზების განახლება, შევსება და დამუშავება საგრძნობი მოცულობით. მოხდა წევრთა კატეგორიების კიდევ უფრო მეტად დივერსიფიკაცია, რამაც ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაამარტივა. წევრთა დივერსიფიკაციის პროცესი აქტიურად გაგრძელდება მომდევნო წელსაც, როდესაც ასოციაცია მომიჯნავე უფლებების დაცვის მანდატს გააქტიურებს. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა, ასოციაციასა და მის წევრებს შორის უფრო აქტიური კომუნიკაცია და პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდა გამოიწვია, რაც ასოციაციის წევრების რაოდენობის ზრდაზე აისახა.

ასოციაციის მიერ განხორციელებული მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულება ქართული ნაწარმოებების საერთაშორისო ბაზებში ინტეგრაცია იყო, რაც ხანგრძლივი პროცესია და ინფორმაციის დამუშავებას, თარგმნას და სპეციალურ ფორმატზე მორგებას გულისხმობს. წლის განმავლობაში შესრულებულმა სამუშაომ დაარეგულირა პროცესი, რაც მომავალში ქართული ნაწარმოებების საერთაშორისო ბაზებში სისტემური სახით რეგისტრაციას უზრუნველყოფს.

წევრთა რაოდენობა



ლიცენზირება

გასული წლისთვის ასოციაციის პრიორიტეტი ლიცენზირების პროცესის როგორც სეგმენტური, ასევე ტერიტორიული გაფართოვება იყო. წლის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა ამ ორივე მიმართულებას.

სეგმენტური გაფართოვების კუთხით შესწავლილი იქნა მომიჯნავე უფლებების სფერო, რომლის ლიცენზირებაც 2015 წელს ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიმართულება იქნება. ასევე, დაწყებული იქნა სამუშაოები ორი ისეთი დიდი სფეროს ლიცენზირების მიზნით როგორებიცაა საჯარო თხოვება (Public Lending) და ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის ნაწარმოებ(ებ)ის რეპროდუცირება (Private Copying)

რაც შეეხება ტერიტორიულ ლიცენზირებას, 2014 წელს, რეგიონული მასშტაბით, მხოლოდ მსხვილ მოსარგებლეთა ლიცენზირება განხორციელდა. შემუშავდა რეგიონების სრულად ლიცენზირების სტრატეგია. გაიმართა რეგიონული შეხვედრები პოტენციურ ლიცენზიანტებთან და დასახული იქნა კონკრეტული სამოქმედო გეგმა. საქართველოს ყველა რეგიონში ასოციაციას ეყოლება წარმომადგენელი, ვინც განახორციელებს მოსარგებლეთა ლიცენზირებას და ბაზრის მონიტორინგს. სისტემა სრულყოფილად 2015 წელს ამოქმედდება.

გარდა დივერსიფიკაციის მიზნით შესრულებული სამუშაოებისა, ასევე აქტიურად გაგრძელდა ახალი ლიცენზიების გაცემის პროცესიც. ლიცენზირების პარალელურად გაწეული იქნა პერმანენტული მონიტორინგიც სარგებლობის ბაზარზე, რამაც შედეგად საკმაო რაოდენობის ახალ მოსარგებლეთა ლიცენზირება გამოიწვია.

გაცემული ლიცენზიები



გაცემული ლიცენზიები



ჰონორარების შეგროვება-განაწილება

2014 წელს ასოციაციის მიერ შეაგროვებულმა ჰონორარმა 2 712 842 ლარი შეადგინა, რაც 40%-ზე მეტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ყველა სეგმენტში მოსარგებლეთა რიცხვის ზრდამ ბუნებრივად გამოიწვია ჰონორარის ოდენობის ზრდაც. შეგროვების კუთხით ხაზგასასმელია მოსარგებლეთა დამოკიდებულება, რომლებიც წინა წლებთან შედარებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ლიცენზირების საფასურის დროულად გადახდას.




შეგროვებული ჰონორარი
140746
249109
185351
175518
221535
161651
271402
220008
245259
217850
222719
401694
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი

შეგროვებული ჰონორარი

შეგროვებული ჰონორარი პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით



ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას შეგროვებული ჰონორარის სწორი და სამართლიანი განაწილება წარმოადგენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სიახლეა ჰონორარის განაწილების სპეციალური კომპიუტერული პროგრამის (CoSIS) სრულყოფილად დანერგვა. აღნიშნულს როგორც ასოციაციის თანამშრომელთა დროითი რესურსის სწორი და ეფექტური განაწილება, ასევე განაწილებული და გადახდილი ჰონორარის მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვა.

გადახდილი ჰონორარი



გადახდილი ჰონორარი

გადახდილი ჰონორარი წევრების რაოდენობის მიხედვით



გადახდილი ჰონორარი პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით



საჯაროობა-გამჭვირვალობა

2014 წელი თვალნათელი მაგალითი იყო იმისა, რომ ასოციაციის ფუნქციონირების მთავარ პრინციპს საქმიანობის საჯაროობა და გამჭვირვალობა წარმოადგენს. ასოციაციის საქმიანობა საჯაროა როგორც მისი წევრებისთვის, ასევე მოსარგებლეებისთვისაც, რომლებმაც წლის განმავლობაში არაერთხელ ისარგებლეს ამ უფლებით. სწორედ საჯაროობა და გამჭვირვალობაა ასოციაციის ერთი-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე, რაც მის მიმართ არსებული ნდობის პირდაპირპროპორციულია.

გარდა ინფორმაციის უშუალოდ გაცემისა, ასოციაცია რეგულარულად აქვეყნებს მიმდინარე საქმიანობის შესახებ მონაცემებს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში. ვებგვერდის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად დოკუმენტს, წესდებას, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭოს დებულებას, საავტორო უფლებით დაცული ობიექტებით სარგებლობის განაკვეთებს, ჰონორარის განაწილების წესს და სხვა. საჯაროდ ქვეყნდება ასოციაციის ყოველწლიური ანგარიშიც, რომელიც აგრეთვე ეგზავნება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“.

საზოგადოებრივი ცნობიერება

ასოციაციის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. გარდა ასოციაციის წევრთა და მოსარგებლეთა ინფორმირებისა, რაც წინა წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა, გასული წელი საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. ამ კუთხით ასოციაციის საქმიანობა არაერთხელ გაშუქდა მასმედიის საშუალებებით, მომზადდა არაერთი სიუჟეტი და გადაცემა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და ასოციაციის საქმიანობა კიდევ უფრო დეტალურად წარმოაჩინა.

წლის განმავლობაში ასოციაციის თანამშრომლების მიერ გაცემული იქნა რეკორდული რაოდენობის სამართლებრივი კონსულტაცია. გარდა სამართლებრივი კონსულტაციისა, დონორი ორგანიზაციების დახმარებით ჩატარდა თემატური სემინარები და შეხვედრები, როგორც ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ამ სფეროს პროფესიონალებისათვის, მათ შორის მოსამართლეებისათვის, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საავტორო უფლებების შესაახებ ცნობიერების ამაღლებას.

ასოციაცია ისევ აქტიურად გამოსცემს ჟურნალს „COPYRIGHT”-ი, რომელიც განკუთვნილია, როგორც ასოციაციის წევრების, ასევე ყველა დაინტერესებული პირისათვის. ჟურნალი წარმატებით აწვდის საზოგადოებას საავტორო უფლებების შესახებ უცხოელი და ქართველი ექსპერტების მოსაზრებებს, ინფორმაციას ამ სფეროს მიმართ ბიზნესის და სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე, ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებზე და სხვა.

დარღვევათა პროფილაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციის ძირითად ფუნქციას საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა წარმოადგენს, რაც ჰონორარის შეგროვება-განაწილებას გულისხმობს, უკვე მყარად არის დამკვიდრებული წევრებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის პრაქტიკა. გასული წლის განმავლობაში ასოციაციის მხრიდან სწრაფი რეაგირება მოხდა წევრთა ყველა განცხადებაზე, რომელიც საავტორო უფლების დარღვევას ეხებოდა და მიღებული იქნა შესაბამისი ზომები. ასოციაციის მიერ სადავო საკითხებზე შექმნილი იქნა კვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული რამდენიმე სპეციალური კომისია, რომელთა დასკვნებიც, უმეტეს შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა სადავო საკითხების დარეგულირების დროს და მიღწეული იქნა შეთანხმებები სასამართლო წარმოების გარეშე.

ამასთან, კვლავ პრობლემად რჩება მოსარგებლეთა მიერ ჰონორარის გადახდისგან თავის არიდების შემთხვევები, რა დროსაც ასოციაცია ეფექტურად იყენებს სასამართლოს მექანიზმს, სადაც დავათა უმრავლესობა მორიგებით ან ასოციაციის სასარგებლოდ სრულდება.

სასამართლო წარმოება



საერთაშორისო თანამშრომლობა

ასოციაციის საქმიანობა საერთაშორისო არეალზე გამოიხატებოდა როგორც საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაში, ასევე ქოლგა და პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიურ მუშაობასა და ურთიერთობების გაღრმავებაში.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების კუთხით ხაზგასასმელია საქართველოში აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) აქტიურობა, რომლის დაფინანსებით 2014 წელს ორი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა: მოსამართლეთა სემინარები სპეციალურად მოწვეული ამერიკელი მოსამართლის მონაწილეობით და კოლექტიური მართვის ორგანიზაციების რეგიონული კონფერენცია, რომელზეც რეგიონში მოქმედი კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მონაწილეობით განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2014 წელს ასოციაცია კვლავ ინტენსიურად თანამშრომლობდა ისეთ ქოლგა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაცია (CISAC), რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაცია (IFRRO) და ჩაწერისა და მექანიკური რეპროდუცირების უფლებების მმართველი საზოგადოებების საერთაშორისო ორგანიზაცია (BIEM). მნიშვნელოვანია რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) ერთ-ერთი მმართველის ვიზიტი საქართველოში, სადაც ასოციაციასთან ერთად დაისახა მომავალი თანამშრომლობის გააქტიურებისა და გაფართოვების გზები.

აქტიური მუშაობის შედეგად ასევე გაფართოვდა ურთიერთობების არეალი საზღვარგარეთის პარტნიორ ორგანიზაციებთან, რამაც ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ახალი ხელშეკრულებების გაფორმება გამოიწვია. 2014 წელს ასოცაციიამ გააფორმა 20 ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება, რის შედეგადაც მას დაემატა 9 ახალი პარტნიორი ორგანიზაცია და კიდევ უფრო გაიზარდა მისი უფლებრივი მანდატი.

ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები უფლებების მიხედვით



მთლიანი რაოდენობა 236

შეჯამება

ასოციაციის საქმიანობის შეჯამების კუთხით აღსანიშნავია, რომ გასული წელი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო პროდუქტიული იყო, რაც ასოციაციის პროგრესს უსვამს ხაზს. პროგრესს კი, რა თქმა უნდა საქმიანობის სწორი მიმართულებით დაგეგმვა, მისი დროულად განხორციელება და დაგროვილი გამოცდილების ეფექტურად გამოყენება განაპირობებს.

ასოციაციის საქმიანობის ასეთი პოზიტიური დინამიკა საფუძველს უყრის მომავალში კიდევ უფრო კარგი შედეგების მიღწევას. ხოლო, ამ დინამიკის შენარჩუნებისათვის განმსაზღვრელია ასოციაციის რესურსის სწორად გამოყენება.

მთლიანობაში, 2014 წელს, ასოციაციის საქმიანობა საკმაოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ კვლავ რჩება სფეროში ისეთი პრობლემები და გამოწვევები, რაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. ასეთებს ძირითადად მიეკუთვნება: სახელმწიფო ორგანოების მიერ საავტორო უფლებების დარღვევებზე აღსრულების მექანიზმების ამოქმედება, საავტორო უფლებების ახალი სფეროების ათვისება და საქმიანობის სრული ტერიტორიული დივერსიფიკაცია.

www.gca.ge